დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება

განკარგულება:**g-109. 109261804**
თარიღი:**29/06/2026**

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის პროგრამების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დამტკიცდეს:

ა) „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სტიქიის შედეგად ან ხანდაზმულობის გამო დაზიანებული სახურავების აღდგენის თანადაფინანსების პროგრამა" დანართი №1-ის შესაბამისად.

ბ) „სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა" დანართი №2-ის შესაბამისად.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროგრამებით სარგებლობისათვის, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული განცხადებების განხილვის, დაფინანსების/თანადაფინანსების ოდენობის განსაზღვრის და დმანისის მუნიციპალიტეტის მერისათვის დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციის წარდგენის მიზნით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით იქმნება სამუშაო ჯგუფი და სამუშაო ჯგუფის მუშაობის წესის განისაზღვრება ამავე აქტით.

3. ამ განკარგულების მეორე პუნქტის მიხედვით შექმნილი სამუშაოს ჯგუფის შემადგენლობაში შედიან დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში დასაქმებული პირები და დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები.

4. ამ განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებული პროგრამებით სარგებლობაზე განცხადების დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერი, ამ განკარგულების მეორე პუნქტის მიხედვით შექმნილი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის გათვალისწინებით. მერს უფლება აქვს სამუშაო ჯგუფის დადებითი რეკომენდაციის მიუხედავად უარი თქვას განცხადების დაკმაყოფილებაზე.

5. განკარგულება ძალაშია 2026 წლის 1 ივლისიდან.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის Ng-109.109220254 განკარგულება.

7. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, დაინტერესებული პირის მიერ, მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან საბას ქუჩა N113).

პაატა ყულიაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დანართი №1

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სტიქიის შედეგად ან ხანდაზმულობის გამო დაზიანებული სახურავების აღდგენის თანადაფინანსების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სტიქიის შედეგად დაზიანებული სახურავების აღდგენის თანადაფინანსების პროგრამის (შემდგომში - პროგრამის) მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების სტიქიის ან ხანდაზმულობის გამო დაზიანებული სახურავების აღდგენისათვის სახლების მესაკუთრეების ან კანონიერი მფლობელების მუნიციპალიტეტის მხრიდან თანადაფინანსებით დახმარების გაწევა, მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარება, იერსახის გალამაზება, მოსახლეობის ადგილზე დამაგრება და მათი სოციალურ - ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

პროგრამა არ გულისხმობს დამხმარე ნაგებობების თანადაფინანსებას.

მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლეები

პროგრამით მოსარგებლეები არიან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეები ან/და კანონიერი მფლობელები, რომელთა საცხოვრებელი სახლების შემოწმებით ირკვევა, რომ სახურავის ფაქტობრივი მდგომარეობა, დაზიანების ხარისხი და ხანდაზმულობა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის სამუშაო ჯგუფის უმრავლესობისათვის სარწმუნოს ხდის, რომ აღნიშნული დაზიანების აღმოფხვრა ოჯახს დამოუკიდებლად, ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე, არ შეუძლია, ხოლო დახმარების გაწევისგან თავის შეკავება მნიშვნელოვნად გაზრდის ზარალის რისკებს და მასშტაბებს.

მუხლი 3. პროგრამაში ჩართვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია

1. შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა პროგრამით სარგებლობის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) დაზიანებული სახურავის მქონე სახლის მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

დ) საჭიროების შემთხვევაში, ამ პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტები.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის მიხედვით წარმოსადგენი დოკუმენტები შეიძლება იყოს საკუთრების დადასტურების მიზნით ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ხოლო კანონიერი მფლობელობის დასადასტურებლად სხვადასხვა დოკუმენტებით, მათ შორის მერის წარმომადგენლის ცნობით საცხოვრებელი სახლის კანონიერად ფლობის შესახებ.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა შერჩევის წესი

1. წინამდებარე პროგრამაში ჩართვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენ მასალებს, ამ პროგრამის მე-3 მუხლში წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად, თან უნდა დაერთოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შედგენილი დეფექტური აქტი, თანდართული ფოტომასალით.

2. იმ შემთხვევაში თუ პროგრამაში ჩართვის მსურველი პირთა განცხადებების დაკმაყოფილება შეუძლებელია პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხის არასაკმარისი ოდენობის გამო, პრიორიტეტულობა უნდა გადაწყდეს განმცხადებლების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით. ამ მიზნით სამუშაო ჯგუფის მიერ შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს დამატებითი დოკუმენტები.

მუხლი 5. თანადაფინანსებისათვის თანხის გაცემა

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ქვეპროგრამით გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი პროგრამის მოსარგებლის დაფინანსებისათვის თანხის გაცემას ქვეპროგრამის განმახორციელებლის მოთხოვნის საფუძველზე.

2. თანადაფინანსების ანგარიშსწორება განხორციელდება პროგრამით მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

მუხლი 6. ხელშეკრულების დადება

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერსა და პროგრამით მოსარგებლე პირს შორის თანადაფინანსების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების დადების საფუძველია დმანისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მიღებული თანადაფინანსებაზე თანხმობის გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება.

3. ხელშეკრულების დადების, შეჩერების, შეცვლის და შეწყვეტის წესი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებით.

4. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია.

5. ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო სამართლებრივ რეაგირებას ახდენს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება, მუნიციპალური ინსპექციის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

დანართი №2

სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის სოციალური პროგრამის (შემდგომში - პროგრამა) მიზანია სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რაიონებიდან ქ. დმანისის ტერიტორიაზე გადმოსახლებული ოჯახებისათვის კომპაქტურად აშენებული საცხოვრებელი სახლების და ამავე მიზნებისთვის აშენებულ სახლებში მცხოვრები დევნილების საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაცია, რომელიც იმყოფება ავარიულ მდგომარეობაში და ესაჭიროება გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები.

პროგრამა არ გულისხმობს დამხმარე ნაგებობების დაფინანსებას.

მუხლი 2. პროგრამით მოსარგებლე პირთა (ბენეფიციარების) კატეგორია

1. პროგრამით მოსარგებლე პირი (ბენეფიციარი) შეიძლება იყოს - სტიქიის შედეგად საქართველოს მაღალმთიანი რეგიონიდან დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადმოსახლებული პირი ან მისი ახლო ნათესავი (მშობელი, მშვილებელი, შვილი, მინდობით აღსაზრდელი, პაპა, ბებია, შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული)) და იძულებით გადაადგილებული პირი - დევნილი, რომელსაც საკუთრებაში გააჩნია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზარალებული პირებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლი, რომლის სახურავი არის დაზიანებული და შესაბამისი სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე დაუყოვნებლივ საჭიროებს სარემონტო სამუშაოებს.

2. ამ პროგრამის მიზნებისათვის, საკუთრება შეიძლება დადასტურდეს როგორც საჯარო რეესტრის ამონაწერით, ასევე სხვადასხვა დოკუმენტებით, მათ შორის მერის წარმომადგენლის ცნობით საცხოვრებელი სახლის კანონიერად ფლობის შესახებ.

მუხლი 3. პროგრამაში ჩართვის მიზნით წარმოსადგენი დოკუმენტაცია

შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა პროგრამით სარგებლობის მიზნით მუნიციპალიტეტის მერიაში უნდა წარადგინოს:

ა) წერილობითი განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

გ) მისი ან ამ პროგრამის მე-2 მუხლით განსაზღვრული მისი ახლო ნათესავის, სტიქიის გამო დმანისის მუნიციპალიტეტში გადმოსახლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ქ. დმანისში მერის წარმომადგენლის მიერ გაცემული დოკუმენტი);

დ) იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის შემთხვევაში დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ე) საჭიროების შემთხვევაში, ამ პროგრამის მე-4 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტი.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა (ბენეფიციარების) შერჩევის წესი

1. წინამდებარე პროგრამაში ჩართვის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიაში წარსადგენ მასალებს, ამ პროგრამის მე-3 მუხლში წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან ერთად, თან უნდა დაერთოს დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შედგენილი დეფექტური აქტი თანდართული ფოტომასალით.

2. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში ჩართვის მსურველი პირი (ბენეფიციარი) არის ორი ან ორზე მეტი პირი, რომლებიც თანაბრად აკმაყოფილებენ ამ პროგრამის მე-2 მუხლში მოცემულ მახასიათებლებს, ხოლო პროგრამის განხორციელების მიზნით გამოყოფილი თანხა საკმარისია მხოლოდ ერთი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეკონსტრუქციო სამუშაოებისათვის, სამუშაო ჯგუფი, გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს ისეთი დამატებითი კრიტერიუმებით, როგორიცაა:

ა) მრავალშვილიანი ოჯახის სტატუსი;

ბ) შემოსავლების საერთო რაოდენობა;

გ) სოციალური მდგომარეობა;

დ) იძულებით გადაადგილებული პირის – დევნილის სტატუსი;

ე) სხვა ანალოგიური სახის კრიტერიუმები.